“შეთანხმებულია”

მარნეულის მუნიციპალიტეტის
მერია

კენან ომაროვი

„ვამტკიცებ”

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია

ლევან ნოზაძე

„21“ „---------“ 2024 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თენგიზ ნავერიანის სახელობის საკლუბო ჩემპიონატი
2008-2010 წლებში დაბადებულ ძიუდოისტ ვაჟებს შორის

I ლიგა

მარნეული

2024
7 დეკემბერი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში;
- კლუბებსა და სპორტსმენებს შორის გამოცდილების გაზიარება და ურთიერთობის გაღრმავება.
- თენგიზ ნავერიანის სახელის უკვდავყოფა;

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლასთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- I ლიგაში მონაწილეობას იღებენ ის კლუბები, რომლებიც 2024 წელს გამართულ საკვალიფიკაციო ეტაპზე ვერ გავიდნენ "ოქროს ლიგაში".

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება 7 დეკემბერს.
- შეჯიბრი ჩატარდება 2024 წლის 7 დეკემბერს მარნეულში, „აზერბაიჯან ჰაუსის" სპორტულ ცენტრში. (ყოფილი-ათა-ჰოლდინგის სპორტ. ცენტრი)
- ჩამოსვლის დღე - მარნეული 6 დეკემბერი. წასვლა 8 დეკემბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10.00 საათი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 5 წონით კატეგორიაში: 55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ

<u>აწონვა: ქ. თბილისი, ძიუდოს აკადემია</u>
<u>*6 დეკემბერი*</u>

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ
არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;
ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

- <u>აწონვა: მარნეული, „აზერბაიჯან ჰაუსის" სპორტულ ცენტრში. (ყოფილი-ათა-ჰოლდინგის სპორტული ცენტრი)</u>
<u>*6 დეკემბერი*</u>

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ
არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;
ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

- <u>*7 დეკემბერი* მარნეული, „აზერბაიჯან ჰაუსის" სპორტულ ცენტრში. (ყოფილი-ათა-ჰოლდინგის სპორტული ცენტრი)</u>

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ
არაოფიციალური 08.00 – 08.30 საათამდე;
ოფიციალური 08.30 – 09.00 საათამდე;

VI. საპრიზო თანხა

- თენგიზ ნავერიანის სახელობის საკლუბო ჩემპიონატის I ლიგა
- საპრიზო თანხად განსაზღვრულია 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი, რაც ნაწილდება კლუბებზე შემდეგნაირად :

I ადგილი – 10 000 ლარი	V ადგილი – 4 000 ლარი
II ადგილი – 8 000 ლარი	V ადგილი – 4 000 ლარი
III ადგილი – 7 000 ლარი	VII ადგილი – 2 500 ლარი
III ადგილი – 7 000 ლარი	VII ადგილი – 2 500 ლარი

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- საპრიზოდ განსაზღვრული თანხა 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარის ვალდებულება განაწილდება შემდეგნაირად:
    1. საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.
    2. ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, საზეიმო ვახშამი, მსაჯების ხელფასი, მედ.პერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლასთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;

ელექტრონული მისამართი: judofedgeo@gmail.com

საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577 99 44 07

საკონტაქტო პირი – მამუკა ნავერიანი 551 77 79 88

P.S.

- შეჯიბრებაზე აუცილებელი პირობაა თითოეულ სპორტსმენს ჰქონდეს, როგორც ლურჯი, ასევე თეთრი ფერის კიმანო.
- სპორტსმენთა მაქსიმალური რაოდენობა კლუბისთვის განისაზღვროს 10-ით, თითოეულ წონით კატეგორიაში 2 კვოტით.

პრეზიდენტი ლევან ნოზაძე